



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი

2019 - 2021

სარჩევი

I. შესავალი -----	3
II. სტრატეგიული მიმართულებები -----	5
1. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა -----	6
1.1. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ---	7
1.2. ახალგაზრდების კვალიფიკაციის ზრდის, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა -----	12
1.3. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა -----	17
1.4. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა -----	21
1.5. მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა -----	24
1.6. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა -----	28
1.7. გარემოსდაცვითი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა -----	32
1.8. კულტურულ, შემოქმედებით და დასვენების ღონისძიებებში ჩართვის ხელშეწყობა -----	36
1.9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა -----	40
1.10. სოციალური მეწარმეობის წახალისება -----	46
1.11. მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა -----	49
1.12. მოზარდებსა და ახალგაზრდებში ძალადობისა პრევენცია -----	52
1.13. ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ახალგაზრდებისთვის -----	56
2. ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის განვითარება -----	59
2.1. კომფორტული და უსაფრთხო სივრცე ახალგაზრდებისათვის -----	60

თავი I

შესავალი

ქალაქისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და დემოკრატიული განვითარებისთვის ადგილობრივი ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

წინამდებარე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარების სამ წლიან გეგმას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია ბათუმში მცხოვრები 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

ახალგაზრდობა ასაკობრივი განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია, რა დროსაც ხდება პიროვნების ჩამოყალიბება, სოციალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური განვითარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. შესაბამისად, ფორმალური განათლების გარდა, საჭიროა არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

2018 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმში 14-დან 29 წლამდე ასაკის 39 000 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, რათა ახალგაზრდებმა მოახდინონ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზება და იყვნენ აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამომდინარე აქედან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა შემუშავებულიყო ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“ და მასში გათვალისწინებულია ბათუმელი ახალგაზრდების საჭიროებები. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში განხორციელდა ახალგაზრდებთან დაკავშირებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების, ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსების, სერვისებისა და ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი, სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები და ახალგაზრდული პოლიტიკის საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება. მოეწყო სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდებთან, არასამთავრობო, სამთავრობო სექტორისა და ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დოკუმენტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნა ამ ასაკითვის დამახასიათებელი ასაკობრივი განვითარების თავისებურებები. საერთო ჯამში, დოკუმენტი ეფუძნება ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების, ინტერესების ანალიზს.

დოკუმენტი სამწლიანია და იგი მოიცავს 2 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, ესენია:

1. ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა;
2. ახალგაზრდული ცენტრის განვითარების ხელშეწყობა.

დოკუმენტში დეტალურად არის გადმოცემული სტრატეგიულ მიმართულებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, დაგეგმილი ღონისძიებები, პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, მიზნობრივი ჯგუფები, ჩართული მხარეები და შედეგების შეფასების ინდიკატორები. დოკუმენტი ამავდროულად მოიცავს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმას.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ განხორციელდა დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია. გაიმართა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან,

დოკუმენტი განთავსდა მერიის ვებგვერდზე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები აისახა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის ექვემდებარება განახლებას. დოკუმენტის განახლების საფუძველი იქნება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, რომელიც აწარმოებს აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებზე დაკვირვებასა და შედეგების შეფასებას.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება დოკუმენტის ყოველკვარტალური, ყოველწლიური და საბოლოო ანგარიშები.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა საფუძველად დაედება მუნიციპალურ პროგრამებს.

თავი II

სტრატეგიული მიმართულებები

1. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა
2. ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის განვითარება

სტრატეგიული მიმართულება 1

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა

- 1.1. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება;
- 1.2. ახალგაზრდების კვალიფიკაციის ზრდის, კონკურენტუნარიანობის და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- 1.3. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;
- 1.4. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;
- 1.5. მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა;
- 1.6. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა;
- 1.7. გარემოსდაცვითი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა;
- 1.8. კულტურულ, შემოქმედებით და დასვენების ღონისძიებებში ჩართვის ხელშეწყობა;
- 1.9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- 1.10. სოციალური მეწარმეობის წახალისება;
- 1.11. მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- 1.12. მოზარდებსა და ახალგაზრდებში ძალადობისა პრევენცია;
- 1.13. ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ახალგაზრდებისთვის.

1.1. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების მიერ კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ქმედებისა და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება, პასუხისმგებლიან და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო კომპეტენციები, ახალგაზრდები იაზრებენ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ქმედების არსს, იცავენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

პროგრამის აღწერა

მოქალაქეობის უნარები დაბადებით არ დაყვება ადამიანს, ის სწავლებაა. მოზარდობისა და ახალგაზრდობის პერიოდი კი ის ეტაპია, როდესაც უმნიშვნელოვანეს საჭიროებას და აუცილებლობას წარმოადგენს ადამიანის სამოქალაქო საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის მომზადება, რაც ცხადია მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური განათლების მეშვეობით ვერ მიიღწევა და საჭიროებს არაფორმალური სასწავლო პროგრამების დანერგვასა და მათში ახალგაზრდების ჩართვას. ამ დროს ახალგაზრდებს უყალიბდებათ სამოქალაქო ღირებულებები, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ფასეულობები, სოციალური პასუხისმგებლობა, იძენენ ცოდნას ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ, უვითარდებათ შემწყნარებლობის, პატრიოტიზმის, გარემოს დაცვისა და მულტიკულტურული მსოფლმხედველობა და კომპეტენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფორმალური განათლების შემდგომ თავისუფალი დროის რაციონალურად ორგანიზებასაც, პრევენციას, რომ ახალგაზრდები არ აღმოჩნდნენ ჩართული ასოციალურ ქცევებში და დანაშაულში. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას სწორედ მონაწილეობა წარმოადგენს. მაშინ, როცა ახალგაზრდას ექნება მაღალი მოქალაქეობრივი ცოდნა და კომპეტენციები, ის იქნება მოტივირებულიც, რომ ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იყოს აქტიური მოქალაქე. არაფორმალური სამოქალაქო განათლება კი ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართვას მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც, ახალგაზრდების მხარდაჭერას, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული. მრავალი კვლევა მოწმობს, რომ სამოქალაქო განათლების გარეშე, ახალგაზრდები დაუცველები არიან მანიპულაციისგან და არ გააჩნიათ უნარები დაიცვან თავიანთი უფლებები და არ აქვთ სურვილი და მზაობა ჩაერთონ ცვლილებების განხორციელებაში. საერთო ჯამში, არაფორმალური სამოქალაქო განათლების პროგრამების მიწოდების შედეგად, ახალგაზრდა მომზადებულია სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისთვის.

ამდენად, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიგეგმება სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ბათუმში მცხოვრებ 14-დან 29 წლამდე ასაკის მოზარდებსა და ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ჩაერთონ საგანმანათლებლო, არაფორმალური ხასიათის პროექტებში. განსაკუთრებულად გამახვილდება ყურადღება მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობაზე. გაზიარებული იქნება მსოფლიოში ცნობილი სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელოვანი გამოცდილება. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები, სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები, განხორციელდება თემატური პროექტები, მოეწყობა სიმულაციური თამაშები და ჩატარდება იმიტირებული აქტივობები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების ორგანიზება;
- ✓ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში, იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (14-დან 18 წლამდე, 18-დან 24 წლამდე, 25 წელს ზევით);
- ✓ მონაცემების შეგროვება და დამუშავება კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს, მათი ინტეგრაციის მიზნით;
- ✓ ახალგაზრდების მონაწილეობით მცირე სამოქალაქო აქტივობების განხორციელება;
- ✓ თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფების შექმნა და სამოქალაქო განათლების გავრცელება;
- ✓ ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			აღბათობა	ზეგავლენა	ქულა		აღბათობა	ზეგავლენა	ქულა
1.	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების ორგანიზება	პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი, არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, ტრენერების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
2.	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში,	პროექტისადმი მიზნობრივი ჯგუფის დაბალი ინტერესი	3	3	9	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებულობა	3	2	6

	იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით								
3.	მონაცემების შეგროვება და დამუშავება კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს	მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა	3	3	9	თანამშრომლობა შესაბამის სტრუქტურებთან	2	2	4
4.	ახალგაზრდების მონაწილეობით მცირე სამოქალაქო აქტივობების განხორციელება	ახალგაზრდების პასიურობა და დაბალი ინტერესი	3	3	9	სამოქალაქო აქტივობების განხორციელების აუცილებლობაზე ახალგაზრდების ინფორმირებულობა	3	2	6
		გამოცდილების არ ქონა/ნაკლებობა	3	3	9	უცხოური და ქართული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება	2	2	4
5.	თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფების შექმნა და სამოქალაქო განათლების გავრცელება	ახალგაზრდების თავისუფალ დროსთან მორგება, ახალგაზრდების მომზადების დონე, სკოლებში შესვლის სირთულეები	3	4	12	ახალგაზრდების მოტივირება და დაინტერესება, ახალგაზრდების გადამზადება, სკოლების დირექციასთან ნებართვის მიღებაში დახმარება	2	3	6
6.	ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება	ფორუმის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და ფორუმის ორგანიზების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
		ახალგაზრდების პასიურობა და დაბალი ინტერესი	3	3	9	ახალგაზრდების ინფორმირებულობა	3	2	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ აჭარის პრობაციის ბიურო;
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრი

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.			
2019 - 2021	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების ორგანიზება			X	X	X	X	X				X	X	X
2019 - 2021	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში, იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით			X	X	X	X	X				X	X	X
2019 - 2021	მონაცემების შეგროვება და დამუშავება კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან		X	X	X									

	დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს												
2019 - 2021	ახალგაზრდების მონაწილეობით მცირე სამოქალაქო აქტივობების განხორციელება				X	X	X					X	X
2019 - 2021	თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფების შექმნა და სამოქალაქო განათლების გავრცელება				X	X	X					X	X
2020 - 2021	ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება												X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული ტრენინგები, სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები, თემატური პროექტები, იმიტირებული და სიმულაციური თამაშები;
- ❖ ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში, იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში მონაწილე პირთა რაოდენობა.

1.2. ახალგაზრდების კვალიფიკაციის ზრდის, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში პროფესიის არჩევის, კომუნიკაციის, მოლაპარაკების, დარწმუნების ტექნიკის, კონფლიქტის მართვის, სამუშაოს მოძიების, შესაძლებლობების შეფასების, საჯაროდ გამოსვლის უნარჩვევების განვითარება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა შრომის უსაფრთხოების შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო აუცილებელი უნარები, ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან შრომის უსაფრთხოების შესახებ.

პროგრამის აღწერა

თანამედროვე ახალგაზრდებში მოზარდობის ასაკიდანვე შეინიშნება დამოუკიდებელად ცხოვრების ინტერესი და ტენდენცია, განსაკუთრებით შესამჩნევია ეს პრაქტიკა ბათუმში - ზაფხულის სეზონზე. მოზარდები და ახალგაზრდები საზაფხულო არდადეგების პარარელურად, ცდილობენ დასაქმდნენ. ამასთანავე, კვლევებით დადგენილია, რომ 18 წლიდან ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი არის განათლების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. მოზარდის იდენტობის კრიზისი სხვა სფეროებთან ერთად ვლინდება კარიერის არჩევის სირთულეშიც. პროფესიული თვითგამორკვევის უუნარობა დიდი მღელვარების მიზეზია ახალგაზრდებისთვის. სწორი არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა, მოზარდი გაერკვიოს თავის შესაძლებლობებში. ეგო-იდენტობის განცდა და პიროვნული ღირებულებები ხშირად კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან - მომგებიანი სპეციალობა და მოწოდება ერთმანეთს უპირისპირდება, ამ დროს ახალგაზრდები საჭიროებენ კონსულტაციებს თავიანთი შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2014 წელს ჩატარებული ახალგაზრდების ეროვნული კვლევის ანგარიშის თანახმად, საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში ფიქსირდება. ასაკობრივი ჯგუფებიდან კი ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშია. ბუნებრივია, ახალგაზრდები რომლებმაც დაამთავრეს ფორმალური განათლების მიღება, აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისს სამუშაოს, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ხვდებათ კონკურენტული შრომის ბაზარი, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო შედარებით გართულებულია მათი შრომის ბაზარში ჩართვა.

ამდენად, ახალგაზრდების ინტერესების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეს თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალებები, რომელიც ხელშეწყობილი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლების პროგრამების ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ისეთი უნარების შეძენის ხელშეწყობა, რომელზედაც დღეს შრომის ბაზარზე უფრო მეტი მოთხოვნაა, ვიდრე კონკრეტულ ცოდნაზე, მაგალითად, ასეთი უნარებია: კომუნიკაციის, კარიერის დაგეგმვის, თანამშრომლობის, გადმოცემის უნარი, თავის წარდგენის უნარი, მიზანდასახულობა, ლიდერობა, გუნდური მუშაობა, პრობლემების გადაწყვეტის, ადაპტირების უნარები, სამუშაო ეთიკის ცოდნა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია რომ მათ ჰქონდეთ შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილზე

თავიანთი უფლებების შესახებ ცოდნა. უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები. აღნიშნული უნარების განვითარება განხორციელდება ტრენინგებისა და ვორქშოპების მეშვეობით. გარდა ამისა, დაიგეგმება შეხვედრები დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის. ამასთანავე, საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებს საშუალება ექნებათ მიიღონ გამოცდილება ბათუმში არსებულ მუნიციპალურ დაწესებულებებში. პროგრამა ხელმისაწვდომი იქნება 14 დან 29 წლამდე ასაკის ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ჩატარდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ტრენინგები;
- ✓ შეგროვდება და დამუშავდება სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ჩატარდება ტრენინგები დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაში;
- ✓ ჩატარდება დასაქმების მსურველი ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ ტრენინგები, მათ შორის შრომის უსაფრთხოებაზე;
- ✓ განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის გამოიყოფა პრაქტიკული საათები.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა				რისკის დამლევს ღონისძიებები	რისკის წონა			
			მონდების	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მონდების	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ჩატარდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და კარიერის დაგეგმვის	ტრენინგის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6		

	შესახებ ტრენინგები	არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, ტრენერების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
2.	შეგროვდება და დამუშავდება სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა	სტატისტიკურ მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა	3	3	9	თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან	2	2	4
3.		სივრცესთან წვდომა	3	4	12	შეხვედრის სივრცის ადაპტირება	2	3	6
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ჩატარდება ტრენინგები დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაში	ტრენინგის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
		არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება. ტრენერების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6

4.	ჩატარდება დასაქმების მსურველი ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ ტრენინგები	ტრენინგის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
		არაკვალიფიციური ტრენინგების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება. ტრენინგების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
5.	განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის გამოიყოფა პრაქტიკული საათები	აღსაზრდელებთან ურთიერთობის ათვისების აუცილებელი უნარების ნაკლებობა	3	4	12	პრაქტიკული საათების გამოყოფამდე სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩატარება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ა(ა)იპ ქალაქ ბათუმის ბაღების გაერთიანება;
- ❖ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ❖ სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო
- ❖ დამსაქმებლები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ჩატარდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ტრენინგები				X	X	X				X	X	
2019-2021	შეგროვდება და დამუშავდება სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა	X	X	X	X	X	X				X	X	X
2019-2021	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ჩატარდება ტრენინგები დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაში					X	X	X	X	X			
2019-2021	ჩატარდება დასაქმების მსურველი ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ ტრენინგები			X	X	X	X						
2019-2021	განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებისთვის საბავშვო ბაღებში გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის გამოიყოფა პრაქტიკული საათები			X	X	X	X				X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- ❖ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილე პირთა რაოდენობა;
- ❖ საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში;
- ❖ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ტრენინგებში;
- ❖ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა, რომლებიც დასაქმდნენ.

1.3. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების იდეების, შემოქმედებითობისა და შესაძლებლობების რეალიზება. გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლება, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ახალგაზრდები თავად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას, გაზრდილია ახალგაზრდების წვლილი თემის განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროგრამის აღწერა

ახალგაზრდებს, მათი მისწრაფებების შესაბამისად, აქვთ მრავალი იდეა, რომელთა პროექტებად გარდაქმნა ძალზედ მნიშვნელოვანია. სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების წარმატება ან წარუმატებულობა ეხმარება ახალგაზრდებს პასუხისმგებლობის გრძნობისა და მათი დამოუკიდებლობის განვითარებაში, შესაბამისად, საზოგადოებრივ მონაწილეებად ჩამოყალიბებაში. როდესაც საუბარი ეხება ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობას, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ აქტიურობა და სხვადასხვა ღონისძიებებში ხშირი ჩართულობა ყოველთვის არ გულისხმობს რეალურ მონაწილეობას. ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობას გააჩნია თავისი დონეები, ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის დასადგენად, საუკეთესო მოდელია როჯერ ჰარტის მონაწილეობის რვა საფეხურიანი კიბე. „მონაწილეობის კიბეზე“ პირველი სამი ეტაპი არის მანიპულირება, დეკორაცია და სიმბოლიზმი. მანიპულაციის დროს მოზარდები ასრულებენ დავალებას, მაგრამ არ ესმით, რას და რატომ აკეთებენ. როდესაც მოზარდები/ახალგაზრდები გაუცნობიერებლად მონაწილეობენ უფროსების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ არ ესმით, რა ფუნქცია აკისრიათ და რა არის პრობლემა. სიმბოლოზმის საფეხურზე მოზარდს/ახალგაზრდას ეკითხებიან აზრს, მაგრამ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა სიმბოლოზურ ხასიათს ატარებს. მონაწილეობის კიბეზე ყველაზე პროგრესული საფეხურებია მე-7 და მე-8 საფეხურები - „უფროსების მიერ ინიცირებული“ მონაწილეობა და „ახალგაზრდის მიერ ინიცირებული და მართული“ პროექტები. საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის“ მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?“ გამოკითხული აუდიტორიის 27,2%-სათვის ყველაზე მისაღები ფორმა არის, როდესაც ახალგაზრდებს აქვთ იდეა და იმის შესაძლებლობა, რომ შექმნან პროექტი და დაპატიჟონ სხვადასხვა სამთავრობო და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლები, რათა ისინიც მათთან ერთად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე ჩართულობის მეშვიდე საფეხურზე - „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ“ 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. რაც გაზრდის გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის დონეს და ხარისხს. მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელეწყობილი იქნება მცირე თუ ფართომასშტაბიანი

პროექტების განახორციელება და ხელმისაწვდომი გახადება მათთვის, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა;
- ✓ პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის შესახებ საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის;
- ✓ საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების მიზნით კონკურსის ჩატარება;
- ✓ აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების ორგანიზება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოსდენის ალბათობა	ზეგვლეწა	ქულა		მოსდენის ალბათობა	ზეგვლეწა	ქულა
1.	სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა	პროექტისადმი ახალგაზრდების დაბალი ინტერესი	3	3	9	პროექტის მნიშვნელობაზე ახალგაზრდების ინფორმირებულობა	3	2	6
2.	პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის შესახებ საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის	საგანმანათლებლო კურსის დაბალი ხარისხი, არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, ტრენერების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
3.	აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების ორგანიზება	ახალგაზრდების ინტერესებთან შეუსაბამო ღონისძიების დაგეგმვა	3	4	12	ახალგაზრდების ინტერესების დასადგენად მათთან წინასწარი შეხვედრების ჩატარება	2	3	6
4.	საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების	პროექტების ერთფეროვნება	3	4	12	უპირატესობა მიენიჭება პროექტის მრავალფეროვნებას, აქტუალობას, ორიგინალურობას	2	3	6

მიზნით კონკურსის ჩატარება	პროექტის შინაარსისა და ფორმის გაუმართაობა, ავტორების გამოუცდებლობა	3	4	12	ჩატარდება ტრენინგი	2	3	6
	მონაწილეთა/მოსარგებლეთა სიმცირე	3	3	9	პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სკოლებსა და უსდ-ში	2	3	6
	პროექტის განხორციელების ვადების დარღვევა	2	2	4	განხორციელდება მონიტორინგი	1	1	1
	დაფინანსებულ ინიციატივაში მონაწილეთა სიმცირე	3	3	9	პროექტის შეფასების დროს მონაწილეთა რაოდენობა იქნება ერთ-ერთი კრიტერიუმი	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
 - ❖ ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციები;
 - ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.
- ❖ ქალაქ ბათუმი ახალგაზრდობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.			
2019-2021	სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა			X	X	X	X							
2019-2021	პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის		X	X	X									

	შესახებ საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის												
2019-2021	საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების მიზნით კონკურსის ჩატარება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
2019-2021	აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების ორგანიზება										X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

1.4. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცოდნის მიღების ინტერესის გაღვივება, მათთვის ხელსაყრელი და წამახალისებელი გარემოს შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები, გაზრდილია ინტელექტუალურ-შემეცნებით აქტივობებში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი.

პროგრამის აღწერა

მოზარდობისა და ახალგაზრდული ასაკი ეს არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდი. ამ დროს მოზარდები ინტერესს ავლენენ იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახასიათებთ შემოქმედებითობა, ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება, აბსტრაქტული აზროვნება, იდეალიზებული და წარმოსახვის უნარები, უფროსი სასკოლო ასაკის სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად. არსებითი ძვრები ხდება მათი აზროვნების განვითარების მიმართულებით, აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზეზობრივი კავშირების ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი. 16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით ამ პერიოდში ახალგაზრდებისთვის არსებობდეს ინტელექტუალური განვითარების პროგრამები, პროექტები და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელშემწყობი და მასტიმულირებელი სივრცეები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

იმის გათვალისწინებით, რომ უფროსი სასკოლო ასაკის, სტუდენტებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებული ინტერესის წყაროს წარმოადგენს ინტელექტუალურ და შემეცნებით თამაშებსა და აქტივობებში ჩართულობა, ბათუმელი ახალგაზრდების გონებრივი, კოგნიტური და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები, თამაშები, შეხვედრები და ვორქშოპები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა;
- ✓ ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მხარდაჭერა;
- ✓ ინტელექტუალურ-შემეცნებითი კონკურსების ორგანიზება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			აღბათობა	ზეგვლენა	ქულა		აღბათობა	ზეგვლენა	ქულა
1.	სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა	პროექტისადმი ახალგაზრდების დაბალი ინტერესი	3	3	9	პროექტის მნიშვნელობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა	3	2	6
2.	ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მხარდაჭერა	თამაშების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
3.	ინტელექტუალურ-შემეცნებითი კონკურსების ორგანიზება	კონკურსების ორგანიზების დაბალი ხარისხი,	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება და მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა			X	X	X							
2019-2021	ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მხარდაჭერა			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ინტელექტუალურ-შემეცნებითი კონკურსების ორგანიზება									X	X		

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული ინტელექტუალური თამაშების რაოდენობა;
- ❖ მხარდაჭერილი ინტელექტუალური თამაშების რაოდენობა;
- ❖ ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეთა რაოდენობა.

1.5. მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის ინტერესის გაღვივება და მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობისადმი ინტერესი, შექმნილია მოხალისეთა კლუბი და მოხალისეობის მსურველთა ბაზა, საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით, ახალგაზრდები ეწევიან მოხალისეობრივ საქმიანობას, რაც ზრდის ახალგაზრდების სოციალურ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

პროგრამის აღწერა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი, რაც მოზრადობის ასაკიდანვე უნდა შეიძინოს ადამიანმა ეს არის იმის გააზრება, რომ საზოგადოებისა და თემის განვითარებაში შეიტანოს თავისი წვლილი, გამოიჩინოს სოლიდარობა და ემპათიურობა, როცა ეს სხვა ადამიანებს სჭირდებათ, რაც დაკავშირებულია ჰუმანიზაციის სრულყოფილების სწრაფვის პროცესთან. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა თავიდანვე გრძნობდეს სოციალურ პასუხისმგებლობას და ჰქონდეს მიდრეკილება და მისწრაფება დაეხმაროს ადამიანებსა და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ნებაყოფლობით და უსასყიდულოდ ჩაერთოს ისეთი ტიპის ღონისძიებებში, რაც სარგებელს მოუტანს არამხოლოდ მას, არამედ გარემოს, რაშიც ცხოვრობს. იმისთვის, რომ ახალგაზრდები ფლობდნენ აღნიშნულ უნარებს, საუკეთესო გზა არის მათში მოხალისეობრივი კომპეტენციების განვითარება. მოხალისე დახარჯული დროის სანაცვლოდ, ცვლის და აუმჯობესებს საზოგადოების იმ წევრების მდგომარეობას ვისთვისაც გასწია საქმიანობა, გარდა ამისა, მოხალისის პირადი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ მოხალისე ღებულობს ურთიერთობების გამოცდილებას, იძენს კონტაქტებს, იუმჯობესებს კარიერულ უნარჩვევებს. იქიდან გამომდინარე, რომ მოხალისეობის განვითარება საქართველოში ნაკლებად გავრცელებული და შეიძლება ითქვას ჯერ კიდევ ახალია, ბევრი სამუშაო არის ჩასატარებელი იმისთვის, რომ ახალგაზრდა თაობები დაინტერესდნენ მოხალისეობით და გახდნენ მოხალისეები. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოხალისეობის პოპულარიზაციის შესახებ არ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახალგაზრდებს ფორმალური განათლების მიღმა მაინც ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მოხალისეობაზე და გახდნენ მოხალისეები. ამიტომაც ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილია ახალგაზრდების მომზადება მოხალისეობისთვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ მოხალისეობის მსურველი ახალგაზრდების ბაზის შექმნა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ✓ მოხალისეობის რაობისა და მოხალისეობის პრაქტიკის გაზიარების შესახებ ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;
- ✓ მოხალისე ახალგაზრდებისთვის სოციალური აქტივობების გრაფიკის დაგეგმვა და მათი გადანაწილება იმ დაწესებულებებში, სადაც სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი;

- ✓ იმ დაწესებულებებისა და პროექტების შესახებ საინფორმაციო მონაცემების შედგენა, რომელთაც სურვილი აქვთ ან სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი;
- ✓ ურთიერთანამრომლობის დამყარდება მშვიდობის კორპუსის საქართველოს წარმომადგენლობასთან, ამერიკელი მოხალისის მოწვევის საკითხთან დაკავშირებით;
- ✓ ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოხალისეობას პოპულარიზაციას გაუწევენ არა მხოლოდ თავიანთ თანატოლებში, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებთანაც.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ლონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მობდენის ალბათობა	ზეგვლეწა	რისკის ქულა		მობდენის ალბათობა	ზეგვლეწა	რისკის ქულა
1.	მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა	მოხალისეობის მსურველთა მოტივაციის შემცირება	3	3	9	პროგრამები გაწერილი იქნება მიზანზე და შედეგზე, გათვალისწინებული იქნება მოტივაციის წყაროები	2	2	4
		მოხალისეობის არასწორი გაგება	3	4	12	ჩატარდება საინფორმაციო ტრენინგები მოხალისეობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი მოხალისეობის შესახებ ინფორმაცია, მოხალისეს სრულყოფილი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავისი როლის შესახებ, ამიტომაც აგრეთვე მოხალისეობის მსურველები შეავსებენ კითხვარს, სადაც აღწერენ თუ რატომ სურთ მოხალისეობა	2	3	6

	დაფინანსების ნაკლებობის გამო მოხალისეობაში ჩართულობის შემცირება	3	4	12	პროგრამებში, სადაც წინასწარ იქნება ცნობილი, რომ საჭიროა მოხალისეები, გათვალისწინებული იქნება კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები	2	3	6
	შეზღუდული დრო მოხალისეობისთვის	4	3	12	ახალგაზრდები განაწილდებიან მოკლევადიან გრაფიკით	2	2	4
	ფიზიკურ გარემოსთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები	3	4	12	გათვალისწინებული იქნება მოხალისის მახასიათებლები, უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნიუანსების გათვლა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ახალგაზრდული ორგანიზაციები.

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.	II კვარტ.	III კვარტ.	IV კვარტ.
------	--------------------------------	----------	-----------	------------	-----------

2019-2021	მოხალისეობის მსურველი ახალგაზრდების ბაზის შექმნა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	მოხალისეობის რაობისა და მოხალისეობის პრაქტიკის გაზიარების შესახებ ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება				X	X	X	X	X				
2019-2021	მოხალისე ახალგაზრდებისთვის სოციალური აქტივობების გრაფიკის დაგეგმვა და მათი გადანაწილება იმ დაწესებულებებში, სადაც სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი			X	X	X	X	X	X	X	X	X	
2019-2021	იმ დაწესებულებებისა და პროექტების შესახებ საინფორმაციო მონაცემების შედგენა, რომელთაც სურვილი აქვთ ან სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი			X	X	X							
2019	ურთიერთანამშრომლობის დამყარება მშვიდობის კორპუსის საქართველოს წარმომადგენლობასთან, ამერიკელი მოხალისის მოწვევის საკითხთან დაკავშირებით;									X	X		
2019-2021	ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოხალისეობას პოპულარიზაციას გაუწევენ არა მხოლოდ თავიანთ თანატოლებში, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებთანაც.		X	X	X	X	X	X					

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ დარეგისტრირებულ მოხალისეთა რაოდენობა;
- ❖ მოხალისეობის შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- ❖ გადამზადებულ მოხალისეთა რაოდენობა;
- ❖ გადამზადებული მოხალისეების მოხალისეობრივად შესრულებული აქტივობების რაოდენობა;
- ❖ ორგანიზაციების სია, სადაც გადამზადებულმა მოხალისეებმა გასწიეს მოხალისეობრივი საქმიანობა.

1.6. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირება ნარკოტიკზე, თამბაქოსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებისა და მოხმარებით გამოწვეულ ზიანსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და გაზრდილია მათი დაინტერესება ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი.

პროგრამის აღწერა

მოზარდობის პერიოდი, სირთულეებით ხასიათდება, გარდატეხის ასაკის ერთ-ერთი სიძნელე იდენტობის მიღწევაა, იდენტობის კრიზისის დროს კი ვლინდება ალკოჰოლისა და ნარკოტიკის გამოყენებისკენ მიდრეკილებები. ალკოჰოლი და ნარკოტიკები საკმაოდ ფართოდ იკიდებს ფეხს ახალგაზრდების ცხოვრებაში, მათი გამოყენების მოტივი სხვადასხვაა: ცნობისმოყვარეობა, მკაფრი განცდების ძიება, იძულება, გაქცევა, სტრესი, ამბოხი ავტორიტეტის წინააღმდეგ, ცნობიერების საზღვრების გაფართოება. ეს ყველაფერი უკავშირდება იდენტობის არასაკმარის განცდას. ახალგაზრდებმა, რომლებმაც არ იციან ვინ არიან, შესაძლოა ყოველივე დამხმარე საშუალებად მიიჩნიონ მე-ს ძიებისას. ეს საშუალებები დროებით ასუსტებს იდენტობის კრიზისის თანმხლებ სტრესებსა და შიშებს. ეგო-იდენტობის მიღწევის შემდეგ ბევრი ადვილად აღწევს თავს მათ ტყვეობას, რიგ შემთხვევაში კი ეს საკმაოდ ძნელია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ით სამედიცინო მომსახურება განსაზღვრავს, 15%-ით გენეტიკა, 70% კი დამოკიდებულია ცხოვრების წესსა და კვებაზე. ცხოვრების ჯანსაღი წესი ეს არის ჯანსაღი უნარ-ჩვევების დაუფლება, ჯანმრთელობაზე გარესამყაროს ზემოქმედების შესწავლა, მავნე ჩვევებზე (თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალებები) მოხმარებაზე უარის თქმა, კვება - ზომიერი, ინფორმირებულობა გამოყენებული პროდუქტების ხარისხიანობის შესახებ, ფიზიკურად აქტიური ცხოვრება, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა. ჯანსაღი წესებით ცხოვრება დაავადებათა განვითარების რისკის შემცირების საფუძველია.

ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის მიხედვით, ახალგაზრდებში თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესამცირებლად, ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ჯანმრთელობის სამსახურებთან ერთად, უნდა დანერგონ ან განავითარონ ადგილობრივი საკონსულტაციო - საინფორმაციო პოლიტიკა, უნდა გააძლიერონ საინფორმაციო კამპანიები და გაატარონ პრევენციული ღონისძიებები.

შესაბამისად, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ განათლების გავრცელება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, აღიარონ ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობა და მიიღონ შესაბამისი ზომები თავიანთი ჯანმრთელობისთვის, დაიცვან საკუთარი თავი თამბაქოსა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისაგან და ასევე აზარატული თამაშებისაგან მავნე ზეგავლენის არსებობის პირობებში.

ამდენად, ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენციების დაუფლებისთვის გატარდება რიგი კომპლექსური ღონისძიებები იმისთვის, რომ ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი მომავალი თაობები გვყავდეს, რაც პირველ რიგში სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვნად განხორციელების საფუძველია.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ, რომელშიც ჩაერთვებიან მოზარდები და ახალგაზრდები;
- ✓ შემუშავდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოდულები და ხელმისაწვდომი იქნება კურსის მიწოდება ახალგაზრდებისთვის;
- ✓ სხვადასხვა ტურნირის მოწყობა;
- ✓ შეიქმნება ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა				რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა			
			შობდების ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა	შობდების ალბათობა		ზეგვლენა	რისკის ქულა		
1.	ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ, რომელშიც ჩაერთვებიან მოზარდები და ახალგაზრდები	თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგების ინფორმაციის სიზუსტე	3	4	12	გაივლიან მომზადების პროცესს	1	2	2		
2.	შემუშავდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოდულები და ხელმისაწვდომი იქნება კურსის მიწოდება ახალგაზრდებისთვის	ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მოდულების ხარისხის დონე	2	2	4	ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მოდულების შემუშავებაში კვალიფიცირებული კადრების მონაწილეობა	1	1	1		

3.	სხვადასხვა ტურნირის მოწყობა	მონაწილეთა უსაფრთხოება	3	4	12	ტურნირი დაიგეგმება და მოეწყობა სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ	1	2	2
4.	შეიქმნება ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	სკოლებში დაშვების ნებართვა და ინფრომაციის სიზუსტე	3	4	12	სკოლებთან შუამდგომლობა, მოხალისეთა ჯგუფების მომზადება შეხვედრების ჩასატარებლად	1	3	3

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ პროფესიული სასწავლებლები;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლები.

პროგრამის საგარეო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ, რომელშიც ჩაერთვებიან მოზარდები და ახალგაზრდები		X	X	X	X							
2019-2021	შემუშავდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოდულები და ხელმისაწვდომი იქნება კურსის		X	X	X	X				X	X	X	

	მიწოდება ახალგაზრდებისთვის												
2019-2021	სხვადასხვა ტურნირის მოწყობა					X	X	X		X	X		
2019-2021	შეიქმნება ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში		X	X	X	X				X	X	X	

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ შემუშავებული მოდულების რაოდენობა;
- ❖ ჯანსაღი ცხოვრების წესის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ახალგაზრდების ჯგუფების რაოდენობა;
- ❖ ახალგაზრდების ჯგუფების მიერ ჩატარებული კამპანიების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ კამპანიებში მონაწილეთა რაოდენობა.

1.7. გარემოსდაცვითი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავება, სწორი დამოკიდებულებების განვითარება და უნარების გამომუშავება ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნების, დაცვისა და ბუნებრივ გარემოში ცხოვრების შესახებ. მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნონ და დაიცვან ბუნებრივი გარემო.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების კომპეტენცია გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით. ახალგაზრდებს გააჩნიათ ცოდნა, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ. შექმნილია „გარემოს დამცველთა კლუბი“, რომელიც მოხალისეობრ საწყისებზე ატარებს თანატოლგანმანათლებელთა შეხვედრებს და გარემოს დაცვის კამპანიებს. ახალგაზრდებს გააზრებული და გათავისებული აქვთ გარემოს დაცვისადმი პირადი პასუხისმგებლობა

პროგრამის აღწერა

დღესდღეობით გლობალურ გამოწვევებს შორის ერთ-ერთია ეკოლოგიური პრობლემები, რაც დაკავშირებულია - ნაიდაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებასთან. ადამიანის მზარდი ინტენსივობით ზემოქმედება გარემოსა და პლანეტის სიცოცხლის უზრუნველყოფ სტრუქტურაზე წარმოშობს ისეთ რისკს, რომელიც საბოლოო ჯამში უფრო საშიში და აღმოსაფხვრელად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ბირთვული ომი. მისი შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ მიღებული ღონისძიებებით, სანამ ეს მდგომარეობა არ მიიღებს შეუქცევად ხასიათს. ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება აყალიბებს თვისებრივად ახალ ურთიერთობებს მოსახლეობასა და ადამიანთა დაუდევარი საქმიანობის შედეგად გაღარბებულ გარემო ბუნებას შორის. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა გაიაზროს ეკოლოგიური პრობლემების მოსალოდნელი შედეგი და ადამიანის როლი ბუნებისა და გარემო პირობების შენარჩუნებასა და მოვლა გაფრთხილების შესახებ. ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის სექტორული პოლიტიკის ქარტიაში ვკითხულობთ, რომ გარემოს სულ უფრო მეტად დაბინძურების შესაჩერებლად, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ უნდა დააფინანსოს სკოლებსა და ასოციაციებში მოქმედი საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ცოდნის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აცნობიერებს, რომ მომავალში გარემოს დაბინძურების პრობლემები ახალგაზრდების უმთავრეს საზრუნავად იქცევა, განხორციელდება ისეთი პროექტები, რომელიც წახალისებს მდგარდ განვითარებას და გარემოს დაცვას ახალგაზრდების მონაწილეობით, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს გაიაზრონ თავიანთი მოვალეობები გარემოს მიმართ, დაიგეგმება მთელი რიგი საგანმანათლებლო ღონისძიებები, რაც განუვითარებს ახალგაზრდებს გარემოსდაცვით კომპეტენციებს, რაც განაპირობებს მათ მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას, შეცვლის ახალგაზრდების დამოკიდებულებებს, ახალგაზრდები გააცნობიერებენ პირად პასუხისმგებლობას გარემოს დაცვასა და აღდგენაში. გააცნობიერებენ ბუნებრივი მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობას,

შეძლებენ თავად დაგეგმონ გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ბუნებრივ გარემოში ოპერირებას მისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ექნებათ ცოდნა, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეკოლოგიური პრობლემებს მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ შეიქმნება გარემოსდამცველთა ახალგაზრდული კლუბი;
- ✓ განხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების გაცნობითი ტურები;
- ✓ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოსთან პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით;
- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა შესაბამისი მიმართულების, სალექციო კურსებსა და პროექტებში მოსწავლეების ჩართულობის მიზნით;
- ✓ ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა მოხალისეები;
- ✓ ახალგაზრდების მონაწილეობით მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებით;
- ✓ თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფები გამართვენ საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამღვევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოდერის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოდერის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	განხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების გაცნობითი ტურები	ტრანსპორტირების უსაფრთხოება	2	3	6	სატრანსპორტო კომპანია წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელ საბუთს	1	1	1
	ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა მოხალისეები	სტუდენტებისა და მოსწავლეების თავისუფალი დროის ნაკლებობა	3	4	12	შესწავლილი იქნება ახალგაზრდების თავისუფალი დრო და აქტივობების დაგეგმილი იქნება	2	3	6

						შესაბამისად			
3.	თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფები გამართვენ საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	საინფორმაციო ჯგუფების ცოდნის ხარისხი	2	4	8	ახალგაზრდების გაივლიან მოსამზადებელ ტრენინგებს	1	2	1
		სკოლებში დაშვების შეზღუდვა	2	3	6	მომზადდება მერიის ოფიციალური მიმართვა სკოლებისთვის	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ბათუმში მოქმედი უმაღლეს სასწავლებლები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება.

პროგრამისსავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.		II კვარტ.		III კვარტ.		IV კვარტ.	
2019-2021	შეიქმნება გარემოსდამცველთა ახალგაზრდული კლუბი	X	X						
2019-2021	განხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების გაცნობითი ტურები					X	X	X	
2019	ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდება აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოსთან პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით			X					
2019-2021	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან								

	თანამშრომლობა შესაბამისი მიმართულების, სალექციო კურსებსა და პროექტებში მოსწავლეების ჩართულობის მიზნით		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა მოხალისეები			X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ახალგაზრდების მონაწილეობით მოეწეობა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებით					X	X						
2019-2021	თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფები გამართვენ საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში			X	X	X							

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ახალგაზრდულ კლუბში გაწევრიანებულთა რაოდენობა;
- ❖ ჩატარებული გაცნობითი ტურების რაოდენობა;
- ❖ გამწვანებით საქმიანობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ ახალგაზრდების ორგანიზებით მოწყობილი საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა.

1.8 კულტურულ, შემოქმედებით და დასვენების ღონისძიებებში ჩართვის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოზარდებსა და ახალგაზრდებში შემოქმედებითი უნარების განვითარება და კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება; მოზარდებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა და რეალიზების ხელშეწყობა; მათი ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; ახალგაზრდების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებში; ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული სერვისის გაწევა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარები და კულტურისა და ხელოვნებისადმი დაინტერესება. ხელშეწყობილია ახალგაზრდების დასვენება სხვადასხვა ბანაკებში მონაწილეობით, ლაშქრობებით და ექსკურსიებით.

პროგრამის აღწერა

ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის სექტორული პოლიტიკის მე-9 პუნქტში „ყველასთვის ხელმისაწვდომი კულტურის პოლიტიკა“ ვკითხულობთ, რომ ხელოვნება და კულტურა მრავალგვარ ფორმას ღებულობს და განიცდის მუდმივ ცვალებადობას გემოვნების, ადგილისა და დროის მიხედვით. თუმცა, ამავე დროს ის წარმოადგენს წარსულის, აწყმოსა და მომავლის პირადი თუ კოლექტიური მემკვიდრეობის ნაწილს, რომელშიც წვლილი მომდევნო თაობებსაც შეაქვს. ახალგაზრდები, პრაქტიკული კულტურული საქმიანობის, ინიციატივების, შესწავლისა და ინოვაციების განსაკუთრებული პოტენციალის წყალობით, აშენებენ და წვლილი შეაქვთ ხსენებული კულტურის წინსვლაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ კულტურის ყველა გამოვლინებაზე და წახალისდეს მათი უნარები შემოქმედებით საქმიანობაში, მათ შორის ახალ სფეროებში. ამრიგად, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ ახალგაზრდებთან ერთად უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გახდნენ კულტურული ცხოვრების თანამონაწილეები, ხელი მიუწვდებოდეთ ცოდნაზე, პრაქტიკულ კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაზე.

საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025-ის პირველ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ცნობიერების ამაღლება და განათლება კულტურის შესახებ, რაც გულისხმობს კულტურისა და შემოქმედების ინტეგრირებას განათლების სისტემის ყველა საფეხურზე და საზოგადოების მხრიდან კულტურისა და შემოქმედების მნიშვნელოვნების გააზრებას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მდგრად განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობასთან. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება - „მონაწილეობის“ ერთ-ერთი ქვემიმართულებაა ასევე: კულტურა, შემოქმედებითი საქმიანობა და დასვენება. რის მიხედვითაც, ახალგაზრდების კულტურულ საქმიანობასა და დასვენების შესაძლებლობებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი იყოს დასვენებისა და რეკრეაციულ აქტივობებში ჩაბმა, რადგან ახალგაზრდული ინტერესის წყარო სწორედ დასვენებასა და გართობაზე გადის, რაც თავის მხრივ ზრდის კიდევ მათი განვითარების შესაძლებლობებსა და გააქტიურებას. ბოლო დროს ჩატარებული ახალგაზრდული სფეროს ერთ-ერთ კვლევაში გართობა-დასვენების თემა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორც ახალგაზრდული სფეროსა და ზოგადად,

ახალგაზრდების ცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. კვლევის შედეგების მიხედვით, გართობა-დასვენების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა საკმაოდ ცუდია. ახალგაზრდული და ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ გართობის შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. ექსპერტების აზრით, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რეგიონებში გართობის შესაძლებლობები მცირეა, არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდებისთვის ნორმალური გართობის შესაძლებლობას შექმნის, არ არსებობს თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარების პროგრამები, გართობის არსებული შესაძლებლობები ძვირია და არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბათუმელი ახალგაზრდებისთვის დაიგეგმოს ისეთი ტიპის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მათი დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობას, ორგანიზებული გასართობი პროგრამებით. გარდა ამისა, განხორციელდება ღონისძიებები, რაც ახალგაზრდებში გააღვივებს კულტურისადმი ინტერესს და განუვითარებს მათ შემოქმედებით უნარებს, გაზრდის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი, რაც იმავდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მათ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოადგებათ, როგორც სულიერი საზრდოს თვალსაზრისით, ასევე დასაქმების კუთხითაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეთ საკუთარი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კულტურისა და ტრადიციების შესახებ, რათა თავისუფლად შეძლონ ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა უცხოელებისთვის და გატანა საზღვარგარეთ. დღესდღეობით მწვავე პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა კულტურის არ აღიარების და კულტურებს შორის კონფლიქტებიც, ამიტომ მნიშვნელოვანია რომ ახალგაზრდები პატივს სცემდნენ სხვადასხვა კულტურებსა და მათ ტრადიციებს. რაც დაეხმარებათ მათ მულტიკულტურულ გარემოში მშვიდობიან თანაცხოვრებაში.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება და ბანაკების ორგანიზების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდების გამოკითხვის წარმოება, რა ტიპის გასართობი აქტივობები ესაჭიროებათ;
- ✓ ახალგაზრდულ ცენტრში გასართობი სივრცეების მოწყობა;
- ✓ ხელოვნებისა და ლიტერატურული კლუბების ჩამოყალიბება;
- ✓ მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლის შექმნა;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობაში ახალგაზრდების მონაწილეობით პროგრამების განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			შედეგობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		შედეგობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება და ბანაკების ორგანიზების ხელშეწყობა	ახალგაზრდული ბანაკების უსაფრთხოება	4	5	20	გაკონტროლდება კვებისა და გარემო უსაფრთხოების საკითხები	2	3	6
2.	ახალგაზრდულ ცენტრში გასართობი სივრცეების მოწყობა	ახალგაზრდული გასართობის სივრცეების უსაფრთხოება, რესურსების სიმცირე	3	5	15	გაკონტროლდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, რესურსების გამონახვა	2	2	4
3.	მულტიკულტურალიზ მის სეზონური სკოლა								
4.	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობაში ახალგაზრდების მონაწილეობით პროგრამების განხორციელება	კულტურულ მემკვიდრეობის მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების მზაობა	3	4	12	ორგანიზაციებთან მოლაპარაკება, ერთობლივი პროგრამის შემუშავება	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ბათუმში მოქმედი კულტურის დაწესებულებები;
- ❖ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

პროგრამის საგარეუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელ იღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება და ბანაკების ორგანიზების ხელშეწყობა						X	X	X				

2019-2021	ახალგაზრდების გამოკითხვის წარმოება, რა ტიპის გასართობი აქტივობები ესაჭიროებათ		X	X	X	X							
2021	ახალგაზრდულ ცენტრში გასართობი სივრცეების მოწყობა		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ხელოვნებისა და ლიტერატურული კლუბების ჩამოყალიბება		X	X	X								
2021	მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლა								X	X			
2020-2021	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობაში ახალგაზრდების მონაწილეობით პროგრამების განხორციელება			X	X					X	X		

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბანაკებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ ახალგაზრდულ ცენტრში მოწყობილი გასართობი სივრცე;
- ❖ ჩამოყალიბებული კლუბების რაოდენობა;
- ❖ კლუბების ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

1.9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდულ პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობისა და ჩართვის გაზრდა, ქესტური ენის სწავლების ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მოდელის შესახებ, სტიგმის დაძლევა და სტერეოტიპებთან ბრძოლა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, მათი ინტერესების შესაბამისად, ხელმისაწვდომია ახალგაზრდების განვითარებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები; ამალღებუღია საზოგადოების ცნობიერების დონე; შემციირებულია სტიგმისა და სტერეოტიპული აზროვნების გამოვღენა.

პროგრამის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წღების მანძიღზე, საქართველოში ყურადღება ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის გარემო პირობების გაუმჯობესებას, ინტეგრაციას და პროგრესიღ შეინიშნება, საქართველო მაინც რჩება ქვეყნად, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ჯერ კიდეც არ აქვთ წვდომა საზოგადოებრივ სიკეთებთან. ცხადია, ხელშემღლეღი ფაქტორი ბევრია და იგი პირველ რიღში დაკავშირებულია არაადაპტირებულ გარემოსთან. მაგრამ, თუ სიღრმისეულად მივუღდეღებით დასახეღებულ ფაქტორებს, ადვიღად შეგვიღღია ჩავწვდეღთ საზოგადოების მცღარ დამოკიდეღებუღებს (სტერეოტიპები, გარიყვა, შიში, დაბალი მიმღებღობა, ცრურწმენები, სტიგმა), ინსიტიუციურ ბარიერებს (განათღების ხელმისაწვდომობა, დასაქმების სისტიღმა, საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა), გარემოს (საზოგადოებრივი სივრცეები, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი) და არასაკმარისი განათღების პრობღემას, რაც თავის მხვრიღ ამციირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართუღობას, საზოგადოებაში ინტეგრაციას, დამოუკიდეღებღად ცხოვრებისა თუ დასაქმების შესაძლებღობებს.

საქართველოს ახალგაზრდული სახელმწიფო პოღიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართუღებაა ახალგაზრდების სპეციღლური მხარდაჭერა და დაცვა, სადაც ერთ-ერთ მნიშვნეღოვან საკითხად მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფღებების კონვენციის მიხეღდით, შეზღუდული შესაძლებღობა არის დინამიური ცნება და წარმოადგენს ჯანმრთეღობის დარღვევის მქონე პირებს, მათ მიმართ დამოკიდეღებუღებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმეღების შედეგს, რაც აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ თანაბარ, სრულყოფიღ და ეფექტურ მონაწილეობას. საქართველო, როგორც აღნიშნული კონვენციის მიმღები ქვეყანა, ვაღდებუღია გაატაროს ისეთი ტიპის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას და შესაძლებღობების რეღლიზებას. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებისთვის დაგეგმიღ ღონისძიებებში იშვიათად თუ შევნიშნავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა ასეთი რეღობის მიზეზი და პრობღეღა მდგომარეობს იმაში, რომ გარემო პირობები სათანადოდ არ არის ადაპტირებული იმისთვის, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს დაგეგმიღ პროექტები. გარდა ამისა, საზოგადოება ჯერ კიდეც მხოლოდ და მხოლოდ სამედიცნო მოღელით უყურებს შეზღუდულ შესაძლებღობებს, ასეთი მიდგომები და სტერეოტიპები კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს ართმევს იმის შესაძლებღობას, რომ იყვნენ რეღლიზებულნი. მნიშვნეღოვანია, რომ საზოგადოების ინფორმირების პროცესი გაგრძეღდეს და

მათი თვითშეგნება ამაღლდეს ისე, რომ სამედიცინო მოდელთან ერთად ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალურ მოდელზე. მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში, გამოყენებული იქნება თანამედროვე მიდგომები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მიმართ არ იქნება გამოყენებული საქველმოქმედო მოდელი, რაც ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვებზე დამოკიდებულებას. თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტებით შემცირდება და აღმოიფხვრება გარემო ბარიერები და ხელშეწყობილი იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანაბარი, სრულყოფილი და ეფექტური ჩართულობა. ბათუმის თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ფიზიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოსთან, განათლებასთან, კომუნიკაციასა და ინფორმაციასთან, იმისთვის, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული რეალიზაცია, განხორციელდება სამუშაოები მშობლეთა გაძლიერების კუთხითაც.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საინფორმაციო ბაზა მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით;
- ✓ მერიის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის განხორციელდება ტრანსპორტირება;
- ✓ მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები სტიგმებთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით;
- ✓ ჩატარდება აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობები;
- ✓ მშობლეთა გაძლიერების მიზნით ჩატარდება ტრენინგები;
- ✓ შეგროვდება და დამუშავდება სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა;
- ✓ ხელშეწყობილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ინკლუზიური სოციალური საწარმოს დაფუძნება და ფუნქციონირება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამლევს ღონისძიებები	რისკის წონა		
			აღბათობა	ზეგვლეწა	ქულა		ბა	ზეგვლეწა	რისკის ქულა
1.	შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14-დან 29	ბაზების შექმნისთვის ინფორმაციასთან წვდომის სირთულე	3	4	12	ჩართულნი იქნებიან მერიის სერვის-ცენტრების წარმომადგენლები, ოჯახის ექიმები, მშობლები, სკოლები, უსდ-ები,	2	2	4

	წლამდე ასაკის ახალგაზრდების საინფორმაციო ბაზა მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით				პროფესიული სასწავლებლები				
2.	მერიის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის განხორციელება ტრანსპორტირება	ტრანსპორტის ადაპტირებულობა: გადაადგილებისას წარმოქმნილი პრობლემები	3	5	15	შერჩეული იქნება მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალება, თუ საჭიროება დადგება, მოხდება თანმხლები პირის დაშვება;	2	2	4
3.	მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები სტიგმებთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით	ფორმულირების მიწოდების არასრულფასოვანი ფორმა	3	4	12	შერჩეული იქნება მიწოდების ფორმა და ადგილი, კამპანიაში ჩართულნი იქნებიან აქტიური შშმ და ტიპიური განვითარების მქონე ახალგაზრდები, მათი მშობლები და სპეციალისტები	2	2	4
4.	ჩატარდება აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობები	შშმ ახალგაზრდების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი	3	5	15	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან და მათი ოჯახის წევრებთან მუშაობა ჩაერთონ კამპანიაში	2	3	6
5.	მშობელთა გამლიერების მიზნით ჩატარდება ტრენინგები	მშობელთა დაბალი ინტერესი და ჩართულობა	3	4	12	მშობლებთან შეხვედრებზე მოწვეულნი იქნებიან მშობელთა აქტიური თემის წარმომადგენლები თავიანთი პრაქტიკის პრეზენტაციით	2	3	6
6.	შეგროვდება და დამუშავდება საინფორმაციო ბაზები	ინფორმაციასთან წვდომის სირთულე	2	4	12	გამოყენებული იქნება ყველა არსებული რესურსი; განხორციელება მოლაპარაკებები ბათუმში არსებულ ბიზნეს	2	3	6

	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა					სექტორთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დასაქმების თაობაზე			
7.	ხელშეწყობილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ინკლუზიური სოციალური სასწარმოს დაფუძნება და ფუნქციონირება	ადაპტირებული სივრცისა და ფინანსების ნაკლებობა	4	5	20	მუნიციპალური ქონების ფარგლებში მოძიებული იქნება ადგილი, მოწყობის თაობაზე მუშაობა წარიმართება გრანტის მოძიების კუთხით, საწყისი ფინანსური რესურსი გამოიძებნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ დამსაქმებლები;
- ❖ ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საინფორმაციო ბაზა მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით;	X	X	X	X	X	X						
2019-2021	მერიის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის განხორციელდება ტრანსპორტირება;		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები სტიგმებთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით		X	X		X							X
2019-2021	ჩატარდება აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობები		X	X									
2019-2021	მშობელთა გაძლიერების მიზნით ჩატარდება ტრენინგები		X			X			X				X
2019 - 2021	შეგროვდება და დამუშავდება საინფორმაციო ბაზები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან შუამდგომლობა						X	X	X	X	X	X	
2020 - 2021	ხელშეწყობილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის ინკლუზიური სოციალური სასწარმოს დაფუძნება და ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შესახებ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზა;
- ❖ საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა;
- ❖ აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ მშობელთა გაძლიერების კუთხით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- ❖ მშობელთა გაძლიერების კუთხით ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილე მშობელთა რაოდენობა;
- ❖ სოციალური სასწარმოს საქმიანობაში ჩართულთა რაოდენობა.

1.10. სოციალური მეწარმეობის წახალისება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმირებულობა და დაინტერესების გაღვივება; ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება; სოციალური საწარმოების საქმიანობაში გათვითცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმში მცხოვრებ დაინტერესებულ ახალგაზრდებს აქვთ კომპეტენცია და მზად არიან დაამუშაონ პროექტები და წამოიწყონ სოციალური მეწარმეობა.

პროგრამის აღწერა

საქართველოში სოციალური მეწარმეობა თანდათან იკიდებს ფეხს, ბიზნესისგან განსხვავებით სოციალური საწარმოს მოგება მიზნულია პრობლემის გადაწყვეტასთან. მისთვის მოგება მნიშვნელოვანი მოტივაციაა, მაგრამ იმავდროულად მთავარია არსებული საზოგადოებრივი პრობლემის სტრუქტურული გადაჭრა და პრობლემის გამომწვევი კონტექსტის შეცვლა. სოციალური საწარმოების შექმნით დაინტერესება ახალგაზრდებისთვის სამომავლო პერსპექტივებთან არის დაკავშირებული, ერთის მხვრივ ახალგაზრდები გაითავისებენ სოციალურ პასუხისმგებლობას და ჩართულნი იქნებიან ცვლილებების განხორციელებასა და თემის განვითარებაში თავიანთი წვლილის შეტანით, მეორეს მხვრივ კი სოციალური მეწარმეობის წახალისება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას. მნიშვნელოვანია სამეწარმეო და დასაქმების უნარიანობის გაუმჯობესება ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული არაფორმალური განათლებით, რომელიც განაპირობებს მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას ახალგაზრდების მიერ შემუშავებული მცირე ბიზნეს პროექტების განხორციელების მხარდაჭერით, რაც შექმნის ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების შესაძლებლობებს. შესაბამისად, ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ფარგლებში, ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების დაინტერესება სოციალური მეწარმეობით, ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდებმა განვიითარონ მეწარმეობის კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემის ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ჩატარდება ტრენინგები სოციალური მეწარმეობის არსისა და პროექტების დაწერისა და მართვის შესახებ;
- ✓ ახალგაზრდები გაეცნობიან სხვა სოციალური მეწარმეების მუშაობის სპეციფიკას.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების	რისკისაღწერა	რისკის წონა	რისკის დაძლევის	რისკის წონა
---	-------------	--------------	-------------	-----------------	-------------

	დასახელება		მოხდენის აღბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა	ლონისძებები	აღბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა
1.	ჩატარდება ტრენინგები სოციალური მეწარმეობის არსისა და პროექტების დაწერისა და მართვის შესახებ	ტრენინგისორგანიზების დაბალი ხარისხი, არაკვალიფიციური ტრენერების შერჩევა	3	4	12	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, ტრენერების შერჩევაში აქტიური ჩართულობა, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგი	2	3	6
2.	ახალგაზრდები გაეცნობიან სხვა სოციალური მეწარმეების მუშაობის სპეციფიკას	სოციალური საწარმოების მენეჯმენტის სუსტი მზაობა და ინტერესის ნაკლებობა	3	5	15	წარმოებული იქნება მოლაპარაკებები	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
 - ❖ ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლება;
 - ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
 - ❖ სოციალური საწარმოები.
- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ჩატარდება ტრენინგები სოციალური მეწარმეობის არსისა და პროექტების დაწერისა და მართვის შესახებ;				X	X	X						
2019-	ახალგაზრდები გაეცნობიან სხვა									X	X		

2021	სოციალური მეწარმეების მუშაობის სპეციფიკას													
------	----------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ სოციალური საწარმოების რაოდენობა, სადაც პრაქტიკას გაეცნენ ახალგაზრდები.

1.11. მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების, მედიაწიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია მხატვრული ლიტერატურის მიმართ ინტერესი, ახალგაზრდებს აქვთ კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, მსჯელობის, კრიტიკული და ობიექტური აზროვნების, მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გაგების, ინტერპრეტირების, შექმნისა და გამოყენების, ინტერნეტ სივრცეში უსაფრთხოების დაცვის, ინფორმაციის დახარისხების, კომპიუტერული ტექსტების ელექტრონულად დამუშავებისა და პროგრამების გამოყენების უნარები.

პროგრამის აღწერა

2016 წელს საქართველოში ჩატარებული წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში 9-10 წლის მოსწავლეების 14%-ს წაკითხულის გააზრების მინიმალური უნარიც არ გააჩნია. კვლევით დასტურდება, რომ საერთაშორისო დონაზე, ქართველი მოსწავლეების საშუალო მიღწევა საერთაშორისო საშუალო ნიშნულზე დაბალია. წიგნიერების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ წაკითხულის გააზრებით არ შემოიფარგლება, მოზარდები ასევე უნდა ეუფლებოდნენ წერის, ინფორმაციის დამუშავების, მსჯელობის, კრიტიკული და ობიექტური აზროვნების, მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გაგების, ინტერპრეტირების, შექმნისა და გამოყენების, ინტერნეტ სივრცეში უსაფრთხოების დაცვის, ინფორმაციის დახარისხების, კომპიუტერული ტექსტების ელექტრონულად დამუშავებისა და პროგრამების გამოყენების უნარებს. ამისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან შემუშავდება და განხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროგრამები, რაც ხელმისაწვდომი იქნება 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ მხატვრული ლიტერატურის კლუბის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;
- ✓ წაკითხულის გააზრების კურსების შეთავაზება;
- ✓ მედიაწიგნიერების კურსის უზრუნველყოფა;
- ✓ ციფრული წიგნიერების კურსის განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დამლევს ღონისძიებები	რისკის წონა		
			მომდინარის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	მხატვრული ლიტერატურის კლუბის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	ახალგაზრდების პასიურობა და კლუბში ჩატარებული აქტივობების ხარისხი	3	4	12	სამოტივაციო მიდგომების გამოყენება, სწრებადობისა და კლუბის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ხარისხის მონიტორინგი	2	3	6
2.	წაკითხულის გააზრების კურსების შეთავაზება	სპეციალისტების კვალიფიკაცია და სწავლების არათანამედროვე ტრადიციული მეთოდები	3	4	12	სპეციალისტების შერჩევასა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება კვალიფიკაციაზე და სწავლების თანამედროვე მიდგომებით წარმოდგენილ პროგრამაზე	2	3	6
3.	მედიაწიგნიერების კურსის უზრუნველყოფა	კომპიუტერული ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა	3	4	12	ბსუ-სთან მოლაპარაკება და კომპიუტერული ოთახით სარგებლობა	2	3	6
4.	ციფრული წიგნიერების კურსის განხორციელება	კომპიუტერული ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა	3	4	12	ბსუ-სთან მოლაპარაკება და კომპიუტერული ოთახით სარგებლობა	2	3	6
5.	ციფრული წიგნიერების კურსის განხორციელება	კომპიუტერული ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა	3	4	12	ბსუ-სთან მოლაპარაკება და კომპიუტერული ოთახით სარგებლობა	2	3	6
		მსურველთა დიდი რაოდენობა	3	4	12	ასაკობრივი ჯგუფების დაკომპლექტება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	მხატვრული ლიტერატურის კლუბის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X	X			X		
2020-2021	წაკითხულის გააზრების კურსების შეთავაზება			X	X	X							
2020-2021	მედიაწიგნიერების კურსის უზრუნველყოფა			X	X								
2020-2021	ციფრული წიგნიერების კურსის განხორციელება										X	X	

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მხატვრული ლიტერატურის კლუბში გაწევრიანებული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ წაკითხულის გააზრების კურსის მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ მედიაწიგნიერების კურსის მონაწილეთა რაოდენობა;
- ❖ ციფრული წიგნიერების კურსის მოსარგებლეთა რაოდენობა.

1.12. მოზარდებსა და ახალგაზრდებში ძალადობის პრევენცია

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოზარდებსა და ახალგაზრდებში გავრცელებული ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია. ბრაზისა და აგრესიული ქცევის მართვის უნარების დაუფლება, ემოციური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად შემცირებულია ძალადობის ფაქტები, მოზარდებს და ახალგაზრდებს შეუძლიათ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა კომპრომისისა და მოლაპარაკების გზით.

პროგრამის აღწერა

ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა მოზარდებს შორის ძალადობის ფაქტები, საფრთხის შემცველი ონლაინ თამაშების, სოციალური ქსელების კომუნიკაციით დამდგარი სავალალო შედეგები და მოსწავლეებს შორის ბულინგი. რაზეც უამრავი გახმაურებული ფაქტი მეტყველებს, მაგრამ მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების მოყვანაც, საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ ბოლო ეროვნული კვლევა რამდენიმე წლის წინ ჩატარდა, რომლის შედეგების თანახმად, ბავშვების 47.1% ფიზიკურ ძალადობას, ხოლო 47.5% ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდის. კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ ზოგადად, ძალადობა მოსწავლეების მხრიდან მომდინარეობს, მაგრამ სკოლის გარემოში მყოფი უფროსებიც ხშირად ახორციელებენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ამდენად, ძალადობა ის რთული საკითხია, რასთან ბრძოლისთვისაც მხოლოდ ფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გატარება საკმარისი არაა. აღნიშნულ საკითხთან საბრძოლველად საჭიროა დაიგეგმოს ისეთი ტიპის ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება ძალადობის პრევენციისკენ, რაც დაიცავს მოზარდ თაობას აგრესიისა და ჩაგვრისაგან. შესწავლილია, რომ ძალადობრივი კონფლიქტების წარმოშობის რისკი გვხვდება იმ გარემოსა და ჯგუფებში, რომლებსაც ახასიათებთ უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და სოციალიზაციის ნაკლებობა, შესაბამისად სკოლებში დაიგეგმება სოციალიზაციასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამები, უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების, კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების ცნობიერების ასამაღლებლად და სოციალიზაციის პროცესში ჩართვისთვის. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი კატეგორია, იმ ასაკში იმყოფება, როცა ნაკლებად ექვემდებარებიან ოჯახში აღზრდას და სასკოლო პროგრამების მეშვეობით დამოკიდებულებების შეცვლას, ამიტომ უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური სწავლება, თუ როგორ ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, როგორ გაუმკლავდნენ კონფლიქტების მაპროვოცირებელ გარემოებებს. ამასთან, ძალადობის პრევენციის ასპექტებთან ერთად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებს უნდა მიეწოდოთ პრაქტიკული რჩევები, რომლებიც უკავშირდება სკოლის შემდგომ ცხოვრებას, სწავლის გაგრძელებას და შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის არსებული ვითარების გაცნობას. რათა მომავალში ახალგაზრდებმა თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტურ გარემოებებს ჯეროვნად გაუმკლავდნენ და იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

იმის გათვალისწინებით, რომ რომ ახალგაზრდობა ხშირად გვევლინება დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლად, თანამედროვე საზოგადოებაში აუცილებლობას წარმოადგენს დანაშაულსა და ძალადობაზე ადეკვატური რეაგირების უზრუნველყოფა, საჭიროებას წარმოადგენს ახალგაზრდების უშუალოდ ჩაბმა ამ პრობლემების აღმოფხვრის პროცესში. განსაკუთრებული მუშაობა უნდა განხორციელდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ

ახალგაზრდებთან. ხელშეწყობილი იქნება ისეთი პროექტების ორგანიზება და მხარდაჭერა, რაც წაახალისებს არამალადობრივ მიდგომასა და შემწყნარებლობას, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მალადობის უარყოფითი შედეგების ცნობიერების ამაღლების კუთხით;
- ✓ კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზის შექმნა მათი შემდგომი ჩართვისთვის სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში;
- ✓ სპორტული თამაშების ორგანიზება;
- ✓ ტრენინგების ჩატარება კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე;
- ✓ სასკოლო აქტივობების მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			სიძლიერის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა
1.	უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მალადობის უარყოფითი შედეგების ცნობიერების ამაღლების კუთხით	სკოლებში შესვლის სირთულე; პროგრამის მონოტონური ხასიათი	3	4	12	ნებართვის აღება; პროგრამის მრავალფეროვნება	2	3	6
2.	კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზის შექმნა მათი შემდგომი ჩართვისთვის	ინფორმაციაზე წვდომის სირთულე; ჩართულობის დაბალი დონე	3	4	12	სკოლებთან, მშობლებთან, პრობაციის ბიუროსთან თანამშრომლობა; პროგრამებში წამახალისებელი ფაქტორის შეტანა	2	3	6
3.	სპორტული თამაშების ორგანიზება	ფინანსური რესურსის სიმცირე	3	4	12	უზენბეს შორის შეჯიბრებების მოწყობა, მოედნების გამოყენებით, კალათბურთსა და ფეხბურთში	2	3	6
4.	ტრენინგების ჩატარება	ტრენინგების	3	4	12	მონიტორინგი	2	2	4

	კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე	ხარისხი							
5.	სასკოლო აქტივობების მხარდაჭერა	სკოლების პასიურობა	3	4	12	დაინტერესების მიზნით საინფორმაციო შეხვედრები	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივ ითვითმმართველობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.		II კვარტ.		III კვარტ.		IV კვარტ.	
2019 - 2021	უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ძალადობის უარყოფითი შედეგების ცნობიერების ამაღლების კუთხით	X	X	X	X				
2019 - 2021	კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზის შექმნა მათი შემდგომი ჩართვისთვის სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში	X	X	X	X				
2020 - 2021	სპორტული თამაშების ორგანიზება					X	X	X	X
2019 - 2021	ტრენინგების ჩატარება კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე	X	X	X	X				
2020 - 2021	სასკოლო აქტივობების მხარდაჭერა			X	X			X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ✓ უფროსი სასკოლო ასაკის ახლგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრებზე ახალგაზრდების სწრებადობის რიცხვი;
- ✓ არსებობს კანონთან კონფლიქტში და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზა, დაგეგმილ პროექტებში მათი ჩართულობის რიცხვი;
- ✓ ჩატარებული სპორტული თამაშების რაოდენობა;
- ✓ ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ✓ მერიის მხარდაჭერით განხორციელებული სასკოლო აქტივობების რაოდენობა;
- ✓ მერიის მხარდაჭერით ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ✓ კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- ✓ კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა.

1.13. ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ახალგაზრდებისთვის

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კრიზისული სიტუაციების პრევენციის, ფსიქოლოგიური, სოციალური და პიროვნული უნარების განვითარება; მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ფსიქოლოგიური ხასიათის შეხვედრების ჩატარება; ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკვლავების, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტისა და ემოციის მართვის მზაობის განვითარება; უცხო გარემოში ადაპტირებისა და კომპლექსების დაძლევის უნარების განმტკიცება; ემოციური ინტელექტის განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის არსებობს ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის შესაძლებლობები.

პროგრამის აღწერა

მოზარდობა ის პერიოდია, როცა გარემოს მიმართ მგრძობელობა განსაკუთრებით სენსიტიურია, ის ამოცანები, რომლებიც მოზარდების მხრიდან გადაწყვეტას მოითხოვს არსებითად არის დამოკიდებული იმ გარემოზე, რომელშიც ის ცხოვრობს. შესაბამისად, გარემო გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე. ცნობილ ფსიქოლოგს ერიკ ერიქსონს მიაჩნდა, რომ მოზარდობის ძირითადი კრიზისია საკუთარი ინდივიდუალურობის ანუ იდენტობის აღმოჩენა, რასაც აბრკოლებს სხვადასხვა წრეში განსხვავებული როლების შესრულების აუცილებლობით გამოწვეული გაურკვევლობა. ამ კრიზისის გადაწყვეტა ინდივიდს საკუთარი პიროვნების მთლიანობის განცდის ჩამოყალიბებაში ეხმარება; წარუმატებლობა კი, შესაბამისად, საკუთარ თავზე, როგორც არამყარი ბირთვის მქონე პიროვნების შესახებ, წარმოდგენის მიზეზი ხდება. მოზარდი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: ვინ ვარ და რა ადგილი მიკავია საზოგადოებაში? ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების 8 ეტაპიდან, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე გადის, მე-5 ეტაპი - ყველაზე მნიშვნელოვანია და ერთგვარი გზაჯვარედინის ხასიათს ატარებს. ცხოვრების ამ ეტაპზე ხდება დიდი ბიოლოგიური და ფიზიკური ძვრები ადამიანის ორგანიზმში, ხდება სქესობრივი მომწიფება და ეს ეტაპი ემსგვსება ხიდს ბავშვობიდან დიდობისკენ. მე-5 ეტაპი ეს არის ერთგულება: პიროვნების იდენტურობა გაურკვევლობის წინააღმდეგ, საკუთარ ადგილთან და როლთან მიმართებაში, გარდატეხის ასაკი. ადამიანი თავს არც ბავშვად გრძნობს და არც ზრდასარულად. შესაბამისად, ზემოთაღნიშნული მთელი რიგი ცვლილებების ფონზე, თავს იჩენს ასაკობრივ განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები, ურთიერთობების პრობლემები, შესაძლებლობების გამოხატვისა და საკუთარი ადგილის დამკვიდრების მოთხოვნილება, იდენტობის ჩამოყალიბება, ვიზუალური ცვლილებები და ამით უკმაყოფილება, ბიოლოგიური ცვლილებები, ხასიათის შეცვლა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი, კონფლიქტები გარშემომყოფებთან, რის ფონზეც მწვავედება ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ხშირია, როცა მოზარდები ამ დროს ვერ უმკლავდებიან თავიანთი თანატოლებისგან წამოსულ აგრესიას, უჭირთ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებების ფონზე გარემოსთან ადაპტირება, კარგავენ საკუთარი თავის რწმენას, ეძაბებათ ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, ერთგვებიან სახიფათო ონლაინ თამაშებში, ხშირია კიბერ ბულინგის, სუიციდის შემთხვევები.

არსებული მდგომარეობის ფონზე, როცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში ვერ სთავაზობენ ფსიქოლოგიურ მომსახურებას მოსწავლეებს და გარდა ამისა მშობლების მზაობა და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური შესაძლებლობები ართულებს

ფსიქოლოგთან ვიზიტს, მშობლები ვერ უმკლავდებიან მოზარდების წინაშე არსებულ სირთულეებს და უჭირთ მოზარდების დახმარება, ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელი საჭიროებაა ასაკობრივი განვითარების შესაბამისად, არსებობდეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები, რათა მოზარდებისა და ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები მარტივად იყოს დაძლეული. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადგილობრივი მოზარდებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისის მიწოდების შექმნა. რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდებისთვის რესოციალიზაციის ღონისძიებებიც; მოეწყობა შეხვედრები კრიზისული სიტუაციების პრევენციისა და მართვის, ფსიქოლოგიური, სოციალური და პიროვნული უნარების განვითარებისთვის; ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტისა და ემოციის მართვის მზაობის განვითარებისთვის, უცხო გარემოში ადაპტირებისა და კომპლექსების დაძლევის უნარების განმტკიცებისთვის, ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ახალგაზრდულ ცენტრში გამოიყოფა სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“;
- ✓ განხორციელდება მოზარდებისა და მშობლების ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ;
- ✓ ჩატარდება თემატური შეხვედრები ფსიქოლოგთან, ჯგუფებთან, მოთხოვნის შემთხვევაში - ინდივიდუალურად .

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მონდენის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა		მონდენის ალბათობა	ზეგვლენა	რისკის ქულა
1	ახალგაზრდულ ცენტრში გამოიყოფა სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“	სივრცის სიმყუდროვე და უსაფრთხოება, კონფიდენციალურობის დარღვევა	3	4	12	უსაფრთხო სივრცის მოწყობა	2	3	6
		სპეციალისტის კვალიფიკაცია	3	4	12	ფსიქოლოგის საკვალიფიკაციო მონაცემების შესწავლა და პროცესის მონიტორინგი	2	3	6
2.	განხორციელდება მოზარდებისა და მშობლების	ინფორმაციის სანათანადოდ გაუვრცელებლობა	3	4	12	ინფორმაციის გავრცელება სკოლებში და	2	3	6

	ინფორმირებულ ბა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ	ა				ინტერნეტის მეშვეობით			
3.	ჩატარდება თემატური შეხვედრები ფსიქოლოგთან	მსურველთა დიდი რაოდენობა	3	4	12	ასაკობრივი ჯგუფების დაკომპლექტება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმში მცხოვრები მოზარდები და ახალგაზრდები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ბათუმის რესურსცენტრი;
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაცია.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.		II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ახალგაზრდულ ცენტრში გამოიყოფა სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	განხორციელდება მოზარდებისა და მშობლების ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ჩატარდება თემატური შეხვედრები ფსიქოლოგთან	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში შექმნილია სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“;
- ❖ „ფსიქოლოგის საათის“ მოსარგებლე მოზარდებისა და ახალგაზრდების რაოდენობა;
- ❖ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 2
ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის განვითარება

2.1. კომფორტული და უსაფრთხო სივრცე ახალგაზრდებისათვის.

2.1. კომფორტული და უსაფრთხო სივრცე ახალგაზრდებისათვის

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების განვითარებაზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური სივრცის უზრუნველყოფა, სადაც მოზარდები და ახალგაზრდები ჩაერთვებიან არამხოლოდ წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ თავადაც დაგეგმავენ საკუთარი სურვილითა და შეხედულებებით, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი, განვითარებასა და თვითგამოხატვაზე ორიენტირებული უსაფრთხო ფიზიკური და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიკრიბონ და მართონ თავიანთი თავისუფალი დრო რაციონალურად და საინტერესოდ.

პროგრამის აღწერა

მოზარდობის პერიოდში იდენტობის კრიზისი მოზარდის ქცევის სხვადასხვა სფეროში ვლინდება, მათ შორის ერთ-ერთია თანატოლთა ჯგუფში გაწევრიანება. განვითარების გარდამავალ ეტაპზე უარყოფენ რა მშობლებს როგორც მოდელს, მოზარდები თანადგომას თანატოლთა წრეში ეძებენ. ეს კავშირი მეტად ძლიერია. თანატოლთა ღირებულებები და განწყობები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მშობლების, მასწავლებლების და სხვა. ეს ჯგუფები ეხმარება მოზარდს თვითრწმენის განვითარებაში სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მასში ღრმა ფიზიოლოგიური და იდეოლოგიური ცვლილებები ხდება. მოზარდთა ჯგუფების შექმნა, ჩაცმის ერთნაირი სტილი, მსგავსი მიხვრა-მოხვრა, მიმიკები, ლექსიკა და სხვა მახასიათებლები უფრო მეტად დაცვით ფუნქციას ასრულებს. ამგვარი ქცევა მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობის შეგრძნებას ჰგვრის. ყოველივე ეს იდენტობის ძიებებითაა განპირობებული. ამიტომაც მნიშვნელოვანია რომ მათთვის არსებობდეს თავისუფალი ალტერნატიული ახალგაზრდული თავშეყრის სივრცეები, რომელიც იმავდროულად განვითარების საშუალებაცაა. გარდა აღნიშნულისა, დღესდღეობით ახალგაზრდების განვითარებისთვის მხოლოდ ფორმალური განათლება საკმარისი არ არის, ახალგაზრდული ასაკი ეს ის პერიოდია, როცა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს განვითარების მრავალმხვრივი შესაძლებლობების გარემო პირობები. ფორმალური განათლების საათობრივი დატვირთვის შემდგომ, სხვა ჩართულობის შესაძლებლობა. არაფორმალური განათლების მიღების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისა და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდებთან შეხვედრის საშუალება, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობის შესაძლებლობა, ინიციატივების განხორციელებისა და საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლენის პირობები, ერთი სიტყვით, განსხვავებული ალტერნატიული სივრცე განვითარებისთვის. ამიტომაც მსოფლიოში აპრობირებული მიდგომაა, თემებსა და ქალაქებში ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება. ამდენად, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული შეკრების ადგილი განვითარებისთვის, სადაც ისინი მიიღებენ მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ სერვისებს, კომფორტულ და მათთვის მიმზიდველ, უსაფრთხო და თავისუფალ გარემოს, რომელიც განხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. გარდა არაფორმალური განათლების მიმართულებისა, ცენტრს ექნება საშუალებები ახალგაზრდები გაერთონ და თავისუფალი დრო დახარჯონ რაციონალურად.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ცენტრის ადაპტირებული ვებ-გვერდის შექმნა და მასზე დონაციის საშუალების გააქტიურება;
- ✓ ცენტრის ფართში ახალგაზრდებისთვის იფუნქციონირებს გასართობი სივრცე (სივრცეში განთავსდება ბილიარდისა და ჩოგბურთის მაგიდები თავისი აღჭურვილობით, სხვადასხვა სამაგიდე თამაშები, კარაოკეს ტექნიკური მოწყობილობები...);
- ✓ ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების მხარდაჭერა;
- ✓ ცენტრის ბაზაზე არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება;
- ✓ ახალგაზრდული ცენტრის ფილიალების შექმნა და ფუნქციონირება ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებში.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ცენტრის ადაპტირებული ვებ-გვერდის შექმნა და მასზე დონაციის საშუალების გააქტიურება	ვებგვერდის მოუქმენლობა; დონაციისადმი დაბალი ინტერესი	3	4	12	ვებგვერდის შექმნისას კვალიფიცირებული პროგრამისტის შერჩევა ვებ დიზაინის მონიტორინგი და შეთანხმება; ბიზნეს სექტორთან შეხვედრები	2	3	6
2.	ცენტრის ფართში ახალგაზრდებისთვის იფუნქციონირებს გასართობი სივრცე	ფართის გამონახვა; მატერიალური და ფინანსური რესურსის არარსებობა	4	5	20	ბიუჯეტის ფორმირებისას თანხების მოძიება; ფართის გამონახვისთვის ნებართვა	3	3	9
3.	ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების მხარდაჭერა	დროის შეუსაბამობა, ღონისძიებების დამთხვევა	3	4	12	ღონისძიებათა და კლუბების აქტივობების კალენდრის შექმნა	2	2	4
4.	ცენტრის ბაზაზე არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება	ტრენინგების, სემინარების, ლექციების, ვორქშოფების ჩატარების ხარისხი	3	4	12	მომსახურების განხორციელებაზე რეგულარული მონიტორინგი	2	3	6
5.	ახალგაზრდული ცენტრის	სივრცეების არ არსებობა;	4	5	20	მერიის ბალანსზე არსებული	2	3	6

ფილიალების შექმნა და ფუნქციონირება ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებში	ფინანსური და ადამიანური რესურსის არ ქონა/ყოლა				ფართების კვლევა და სივრცეების გამოყოფა; ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება მოწყობასა და ადამიანური რესურსის შრომის ანაზღაურებაზე			
-------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------	--	--	--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ მშობლები;
- ❖ ტერიტორიულ ერთეულებში მერიის სერვის-ცენტრები;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2020-2021	ცენტრის ადაპტირებული ვებ-გვერდის შექმნა და მასზე დონაციის საშუალების გააქტიურება		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2021	ცენტრის ფართში ახალგაზრდებისთვის იფუნქციონირებს გასართობი სივრცე	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019-2021	ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების მხარდაჭერა		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
2019-2021	ცენტრის ბაზაზე არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება		X	X	X	X	X	X	X	X	X		
2021	ახალგაზრდული ცენტრის ფილიალების შექმნა და ფუნქციონირება ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებში	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ✓ შექმნილია ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის ადაპტირებული ვებ-გვერდი;
- ✓ ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდებისთვის მოწყობილია გასართობი სივრცე;
- ✓ ცენტრის ბაზაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბები;
- ✓ ჩამოყალიბებული კლუბების რაოდენობა;
- ✓ კლუბებში ახალგაზრდების ჩართულობის რაოდენობა;
- ✓ არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, საჯარო ლექციების, ვორქშოფების, სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ✓ არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართული მონაწილეების რაოდენობა;
- ✓ ქალაქის გარეუბნებში მოწყობილი ახალგაზრდული ცენტრის ფილიალების რაოდენობა;
- ✓ ქალაქის გარეუბნებში მოწყობილი ახალგაზრდული ცენტრების აქტივობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.